

ნუნუ ჩარკვიანი, სოფიო ყიფიანი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

Nunu.charkviani@atsu.edu.ge

sopio.kipiani@atsu.edu.ge<https://doi.org/10.52340/lac.2025.10.73>

გრამატიკული მოდალობის სწავლების სპეციფიკური თავისებურებანი სხვადასხვა სისტემის ენებში

საკვანძო სიტყვები: მოდალური ზმნები, ინგლისური ენა, ქართული ენა

ამ ბოლო დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ენათა შესწავლის შეპირისპირებით ტიპოლოგიურ მიდგომას. უკანასკნელ პერიოდში ამას ზოგადი ენათმეცნიერების დარგი ლინგვისტური ტიპოლოგია განიხილავს. იგი ავლენს ენებისადმი დამახასიათებელ საერთო თვისებებს (უნივერსალიებს), რომ მათ ფონზე ჩამოაყალიბოს მოცემული ენის სპეციფიკა (გაკი 1977: 52). როგორც მონათესავე, ისე არამონათესავე ენების შეპირისპირებით შესწავლა შესაძლებლობას გვაძლევს უფრო მკაფიოდ და ნათლად გამოვავლინოთ შესასწავლი ენების თავისებურებანი „იგი ღირებულია ზოგადმეცნიერული თვალსაზრისითაც, იგი ფასეულია განსაზღვრული გრამატიკული კატეგორიებისა და განვითარების ზოგადი საკითხების შესასწავლად“ (ჩიქობავა, 1957: 3)

ცნობილია, რომ ყოველი ენის სტრუქტურა განუმეორებელი, უაღრესად თავისებური და სპეციფიკური სისტემაა, რომელიც არ ემთხვევა არც ერთი სხვა ენის სისტემას (ბარხუდაროვი, 1975: 67) ზოგიერთი ლინგვისტის აზრით არამონათესავე ენების გრამატიკული სტრუქტურების შეპირისპირებისას ყველაზე უფრო მისაღებია ის, რომ კონტრასტული ანალიზისას უნდა ამოვიდეთ ცნებათა სისტემიდან, რომელიც თავის გამოხატულებას ენაში პოულობს (იარცევა, 1967: 204). „აღნისნული მიმართების (შინაარსიდან ფორმისაკენ) სასარგებლოდ ის ფაქტიც მიუთითებს, რომ სემანტიკის სფეროში ენათა შორის გაცილებით მეტია მსგავსება, ვიდრე მათი გამოხატვის ფორმალურ საშუალებებში, ამიტომაც სხვადასხვა სისტემის ენათა გრამატიკული წყობის შეპირისპირებისას მათ შორის შესატყვისობა სემანტიკის დონეზე უფრო ადვილია ვიდრე ფორმის დონეზე“ (მეგრელიშვილი, 2012: 23).

ჩვენი კვლევის მიზანია, დავადგინოთ მსგავსება-განსხვავება ორი არამონათესავე ენის ქართული და ინგლისური ზმნის მოდალობის კატეგორიაში. ეს საკითხი ერთობ აუცილებელი და მნიშვნელოვანია არა მარტო სკოლის, არამედ უმაღლეს სკოლაში ინგლისური ენის სწავლების პროცესში. ინგლისური ენის შემსწავლელი იკარგება ორივე ენისათვის დამახასიათებელი მოდალობის აღმნიშვნელ მრავალფეროვან ფორმათა ლაბირინთში. როცა გადავხედავთ ზმნის ამ კატეგორიის განმარტებას, თითქოს ასეთი რთული არც რა უნდა იყოს რა. მოდალობა - გრამატიკული კატეგორიაა, რომელიც

გამოხატავს მთქმელის დამოკიდებულებას ნათქვამის მიმართ, ობიექტური სინამდვილისადმი გამოთქმულის დამოკიდებულების შეფასებას მის მიერ. გამონათქვამის შინაარსი შეიძლება გააზრებულ იქნეს როგორც რეალური ან არარეალური, შესაძლებელი, აუცილებელი და სააღბათო, სასურველი ან არასასურველი და ა.შ. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ როგორაა ეს ფუნქციები გადანაწილებული მოდალობის გამომსახველ იმ საშუალებებთან ორივე ენაში, რომელის წინაშეც ენის შემსწავლელი აღმოჩნდება. რუსი ენათმეცნიერი ბ. ფ. კორნდორფი გვიჩვენებს, რომ მოდალურ ზმნასთან დაკავშირებული სავარჯიშოების შესრულების წინ უნდა უსწრებდეს ენის შემსწავლელთან არსებულ საკითხთან დაკავშირებით გარკვეული ინფორმაციის მიწოდება, რომლის შედეგად ისინი უფრო მარტივად და უშეცდომოდ გაართმევენ თავს დავალებას, უკეთ განსაზღვრავენ მოდალური ბუნების არსებულ აზრობრივ კავშირს, ასევე იმ ენობრივ საშუალებებს, რომლის დახმარებით გამოვყოფთ მოდალური კლასიფიკაციის განსხვავებულ ტიპებს (კორნდორფი, 1958: 157).

ქართული ენის მრავალფეროვანი, მდიდარი საშუალებები მოდალობის უმცირესი ნიუანსის გამოხატვასაც კი ახერხებს. ჩვენი მშობლიური ენის მოდალობის ბირთვს ქმნის თხრობითი, კავშირებითი და ბრძანებითი კილოს ფორმები. მოცემულ ენაში მოდალობის გამომხატველ ენობრივ საშუალებათა შორის ძირითადად გამოირჩევა ზმნის კილოს მორფოლოგიური კატეგორია, ხოლო რაც შეეხება დანარჩენ ენობრივ საშუალებებს ისინი შემდეგი სახისაა: მოდალური სიტყვები, მაქვედებარებელი კავშირები, შორისდებულები, სიტყვათშეთანხმებანი, ჩართული წინადადებები, რთული ქვეწყობილი წინადადების სტრუქტურები, ჩართული სიტყვები და მოდალური ნაწილაკები. კავშირებითი კილოს ფორმა გადმოსცემს ძირითად მოქმედებას, ხოლო მოდალური ზმნა ამ მოქმედებისადმი განწყობა-დამოკიდებულებას, რაც მოდალობის რომელიმე მნიშვნელობის გამოხატვას ემსახურება. მორფოლოგიურ, ლექსიკურ და გრამატიკულ საშუალებათა გარდა მოდალობის მნიშვნელობათა გადმოსაცემად ხშირად გამოიყენება ინტონაცია და დამხმარე კონტექსტური საშუალებები.

მოდალობის მორფოლოგიური დონე მოდალური სემანტიკის ზმნებით გადმოიცემა: (სჯერა, ჰგონია, ფიქრობს, ვარაუდობს, ეჭვობს, მიაჩნია, თვლის, ეჩვენება) და მეშველზმნიანი შესიტყვებებით, მოდალური ზმნიზედებით (აღბათ, სავარაუდოდ, დარწმუნებით, უეჭველად, უდავოდ, უცილობლად, უკამათოდ, ნამდვილად, ჭეშმარიტად). მოდალობის გადმოსაცემად ვიყენებთ მოდალურ ნაწილაკებს: (ეგებ, დაე, აკი, ხომ, განა, ნუთუ, ნეტა...), ზმნური წარმოშობის მოდალურ ელემენტებს: ეგებ/ეგება, იქნებ/იქნება, ეტყობა, ჩანს, ლამის, უნდა, გინდა/გინდ, თუ გინდა/თუნდ.

სინტაქსური დონე მოდალობისა ყალიბდება წინადადებათა სახეებით მოდალობის მიხედვით (კითხვითი, ბრძანებითი, ძახილისა და კითხვა-ძახილის); პასიური მიმდებარევი კონსტრუქციებით (მაგ. გასაკეთებელი მაქვს, ეს დასაწერია...) დამოკიდებულ წინადადებათა ზოგიერთი სახეებით (ვითარების, მიზეზის, მიზნის გარემოებით, პირობითი და დათმობითი დამოკიდებული წინადადებებით, ჩართულით, სიტყვაგამოთქმებითაც: ვინ იცის, ღმერთმა უწყის, კაცმა რომ თქვას, როგორც ჩანს, როგორც ეტყობა, რასაკვირველია, ცხადია, ბუნებრივია, რა თქმა უნდა, უეჭველია, რა სადავოა, რა სალაპარაკოა.

ინგლისურ ენაშიც ტრადიციულად განასხვავებენ მოდალობის გამოხატვის შემდეგ ძირითად საშუალებებს: ლექსიკურ-გრამატიკულს (მოდალური ზმნები), ლექსიკურ-

სემანტიკურს - მოდალური სიტყვები და კილოს კატეგორიას (თხრობითი, კავშირებითი და ბრძანებითი). ლინგვისტიკის კვლევებით დადგინდა, რომ „ინგლისური ენის კილოს გრამატიკული კატეგორია თანდათანობით ცვეთას განიცდის, კავშირებითი კილოს ფორმების ადგილს მოდალური ზმნები იკავებენ. ინგლისურში მოდალობის ველს ქმნის ისეთი ლექსიკურ-გრამატიკული საშუალებები როგორიცაა: მოდალური სიტყვები, მოდალური ზმნები და კავშირებითი კილოს ფორმები. თუკი შევადარებთ ქართული ენის მოდალობის ველს მასში იგივე კომპონენტებია, მაგრამ მათი ხვედრითი წონა განსხვავებული. მოდალობის ველი გრამატიკით, კერძოდ კი სინტაქსის სფეროთი განისაზღვრება, ხოლო სემანტიკის სფერო წარმოდგენილია მოდალური სიტყვებით, მოდალური ზმნებით და მათ მიერ შექმნილი შესიტყვებებით“ (ბაბუხაძე, 2010: 56-57)

ჩვენი მიზანს ხომ სტუდენტთა მიერ მოდალობის სფეროში დაშვებული შეცდომების გამოსწორების გზების ძიებაა, რაც გვიბიძგებს განვიხილოთ ენის სწავლების პროცესში ის შემხვედრი სიძნელეები, რაც ქართველ სტუდენტებს აბრკოლებს ინგლისურენოვანი ნარატივი გადმოსცეს ინგლისური ენისათვის დამახასიათებელი შესატყვისი ფორმებით. ის მრავალფეროვანი კონსტრუქციები, რომელშიც მოდალური ზმნები გვხვდება აქტიურ გამოყენებაში მთელი რიგი ნიმუშების აგების შესაძლებლობას იძლევა თანამედროვე ინგლისურში. ისტორიული თვალსაწიერიდან საინტერესოდ ჩანს ის, რომ მოდალური ზმნები ბოლო დროის მათი განვითარების წარმონაქმნია. მოდალობა და დრო ისე არის ერთმანეთთან გადაჯაჭვული, რომ ინგლისურში ძნელად თუ შეძლებ მათ ცალკე განხილვას. ზოგიერთი ზმნა ერთდროულად ფუნქციონირებს როგორც დროის გამოხატვის დამხმარე საშუალება, ასევე როგორც მოდალური. ამიტომაც მათი განხილვა აუცილებელია შეპირისპირებითი გზით, როგორც ეს სხვადასხვა გრამატიკულ ჩარჩოებში ჩანს (რაევსკა, 1967: 119)

ქართველი სტუდენტისათვის დიდ სირთულეს წარმოადგენს ზემოთ დასახელებული მშობლიური მოდალური ფორმების შესაბამისობის დადგენა ინგლისური ენის მოდალურ ელემენტებთან. ამისათვის შევეცადეთ მოგვეწოდებინა ის პრობლემები, რაც ახასიათებს ინგლისური ენის მოდალობას.

სხვადასხვა ენობრივ შემთხვევებში მოდალურმა ზმნამ შეიძლება შეასრულოს სამი სხვადასხვა ფუნქცია. 1) იგი შეიძლება გამოყენებულ იქნას თავისი თავდაპირველი (ორიგინალური) შინაარსით, 2) მან შეიძლება შეასრულოს დამხმარე ზმნის როლი ანალიტიკურ ზმნურ ფორმებში, რაც თანაფარდობითია შესატყვის მარტივ ფორმასთან მოცემული გრამატიკული კატეგორიის საზღვრებში (The Future Tense და Subjective Mood), 3) მან შეიძლება თავისი ლექსიკური მნიშვნელობა შეასუსტოს, როცა მას ვიყენებთ ვარაუდის, გაურკვევლობის გამომხატველ მოდალურ ფრაზებში, როგორც ეს ხდება პირიანი ზმნის მიერ გამოხატულ მოქმედებაში.

მოდალური ზმნის ანალიზი კიდევ უფრო რთულია სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. საკითხი იმაში მდგომარეობს, რომ მათი ნამყოს დროითი ფორმები ხშირად არ მიემართება ნამყო დროს. ასეთი ზმნებია can და may, shall და will, რომლებსაც ადვილად ვერ განვსაზღვრავთ გრამატიკის სწავლების ფორმალური ტერმინებით. მორფოლოგიურად მათ აქვთ ახლანდელ და წარსულ დროთა ფორმები, ხოლო როგორც მოდალურ ფორმებს მათ რეგულარულად ვერ ვიყენებთ დროითი ურთიერთობის აღსანიშნავად, უფრო მეტიც, ჩანს, რომ წარსული დროის ჩვენება სულაც არ არის მათი მთავარი ფუნქცია. ჩვენ ბუნებრივად ვანსხვავებთ ნამყო დროის ურთიერთობებს შემდგომ

წინადადებაში: 1) He can speak English fluently, 2) He could speak English fluently when he was a boy, მაგრამ ბევრ შემთხვევაში არავითარი დროითი სხვაობა არ ჩანს.

1) He may go – He might go

2) Dark as the night shall be..... Dark as the night should be

გონივრულია იმ მოდალების ორმაგი ბუნების დახასიათება, რომლებსაც რთულ ზმნურ პრედიკატივებში ვიყენებთ. მოდალურ ზმნებს შეიძლება ჰქონდეთ შემდეგი ფუნქციები ა) „სრულიად ლექსიკური“ ზმნებისა, რომლებიც გამოხატავენ უნარს, შესაძლებლობას, ნებართვას, მოვალეობას, საჭიროებას, ნებას, მზაობას იმისა, რაც ქვემდებარის აქტივობასთან ასოცირდება. მაგ: One must do one's duty/ Can she speak English?/May I come in? ბ) მოდალური დამხმარე ზმნების დასუსტებული პრედიკაცია: will/would, can/could, may/might და ought. ამ ბოლო შემთხვევაში ისინი ასუსტებენ თავიანთ ორიგინალურ მნიშვნელობას და იწყებენ ვარაუდის, ლოგიკური დასკვნის, გარკვეულობისა და გაურკვეველობის გამოხატვას იმ მოქმედების გათვალისწინებით, რომელიც პირიანი ზმნითაა გამოხატული (ყიფიანი, 2009: 97)

კონსტრუირებული ომონიმია და სინონიმია ინგლისური ენის გრამატიკაში განსაკუთრებულ ყურადღებას იწვევს. მოდალური ზმნა must უპირველესად მომავალი დროის სხვადასხვა ხარისხით გამოხატვას ემსახურება, ნამყო დროს იგი გადმოგვცემს had, was to და უარყოფას needn't-ით. მოდალური ზმნა mustn't + I ინფინიტივი გამოხატავს მოქმედებას და ვარაუდსაც ერთდროულად დროში. მაგ: He must be somewhere here. თუკი იგი II ინფინიტივთანაა, მაშინ მოქმედება ნამყო დროშია შესრულებული და ახლანდელი დროის ვარაუდი ჩანს ... Cooling process must have begun several billion years ago, შესაბამისი უარყოფითი მნიშვნელობა can't+ინფინიტივით გადმოიცემა. მაგ:

1. There must have been a hundred people in the hall.

2. There can't have been a hundred people in the hall.

May მოდალური ზმნის პირვანდელი ფუნქცია ნებართვის ან შესაძლებლობის გამოხატვაა, როგორც ახლანდელ ასევე მყოფად დროში. როდესაც საქმე ეხება აწმყოს მას ხშირად ცვლის მოდალური ზმნა can. მაგ: You can do as you choose/You can leave now/You may leave now. may-ს ვხვდებით იდიომატურ გამოთქმად, მაგ: What may that mean? - რას შეიძლება ნიშნავდეს? სარკასტული ელფერი აქვს მას წინა მოსაუბრის მიერ განზრახვითი მნიშვნელობით ნათქვამ წინადადებასთან და წარმოადგენს სინონიმურ გამოთქმას. What do you mean by that? - ამით რას გულისხმობთ? რაივსკა

პარალელურად იხმარება may და might ისევე როგორც can და could როგორც მტკიცებით, ისე უარყოფით ფორმაში. I can see or I could see. მაგრამ გვაქვს ნამდვილ ფაქტთან - She could dimly see. თუმცა საინტერესო მოვლენას აქვს ადგილი უარყოფითი ფორმის შემოკლებულ და სრული ფორმის გამოყენებასთან დაკავშირებით (can't (cannot) და can not) You can't come - ითარგმნება შენთვის არ არის შესაძლებელი - it's not possible for you to come, ხოლო მეორე You can not come - შესაძლებელია რომ არ მოხვიდე - It is possible for you not to come.

Can და may-ს უარყოფითი ფორმები სხვა მნიშვნელობებს გამოხატავენ. Can

გამოხატავს შემთხვევას უარყოფით ალბათობაზე, may კი უარყოფით მოვლენათა ალბათობას.

He can't be working st this time = It is possible that he is working.

Could და might გამოიყენება ჰიპოთეტურ გამოთქმათა გამოსახატავად, როგორც კავშირებითი კილოს ფორმა არარეალურ პირობებში. If I could have offered marriage and settlement everything would have been easy - რომ შემძლებოდა მისი ხელის თხოვნა მაშინ ყველაფერი იოლად ჩაივლიდა. ამ მაგალითში მშვენიერად ჩანს ქართული ენის სინთეზური ბუნება და ინგლისური ენის ანალიზურობა. მოდალური ზმნა ინფინიტივთან ერთად ორივე შემთხვევაში ქართულ ენაში ზმნის კავშირებითი კილოთი გადმოდის. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ინგლისურ ენაში სინონიმია ჭარბობს. სინონიმია ახასიათებს მოდალობის გამოხატვის ყველა ფუნქციას ეს იქნება მოქმედების აუცილებლობა, შესაძლებლობა, სასურველობა თუ ალბათობა. მაგალითად ამ ბოლო ფუნქციის ალბათობა გადმოიცემა მოდალური ზმნებით, მოდალური სიტყვებით და მოდალური ფრაზებით. ესენია: may, might, can, probably, perhaps, may be, possibly, presumably. მოდალურ სიტყვებს ხშირად თარგმნის ბევრი ვარიანტი აქვს, რაც დიდ ყურადღებას და ძალისხმევას მოითხოვს მთარგმნელისგან. აქ შეიძლება დავასახელოთ სიტყვა suppose, რომელიც კონტექსტის მიხედვით სხვადასხვაგვარად ითარგმნება: მგონია, შეიძლება, უფრო სწორი უნდა იყოს, ჩემი აზრით, გემარტებს, უპრიანია, ვფიქრობ, ალბათ და ა.შ. I suppose he thought - ალბათ იფიქრა. (ყიფიანი: 2010, 81)

მოდალური ზმნების რთული ფორმები (ინფინიტივის ფორმები ინგლისურ ენაში ნათელი მაგალითია ამ ენის ანალიტიკური ბუნებისა. მართალია ქართულ ენაშიც გვაქვს კომპლექსური ფორმები მოდალობის გამოსახატავად (მაგ. მოდალური სიტყვა+მოდალური ნაწილაკი ან მოდალური სიტყვა+კავშირებითი კილო) და ა.შ.)

ინგლისურ ენაში მოდალური ზმნების პირნაკლულობა, მათი კითხვითი და უარყოფითი ფორმის დამხმარე ზმნის გარეშე წარმოება ხომ ცნობილია ინგლისური ენის შემსწავლელთათვის როგორც დეფექტური ზმნები. ინგლისურ მოდალურ ზმნაში მკაფიოდ იკვეთება ლექსიკურ და სინტაქსურ კატეგორიათა ურთიერთქმედება. ინგლისურ მოდალურ ზმნებს ზოგჯერ ნახევრად მეშველ ზმნებს უწოდებენ, ხოლო ქართული ენის გრამატიკული მოდალები ვერანაირად ვერ ჩაჯდება მეშველი ზმნების რიგში, რადგან ისინი განსხვავდებიან მორფოლოგიური, ასევე სინტაქსური და ფუნქციური თვალსაზრისით. თავიანთი თავდაპირველი მოდალური მნიშვნელობა ძირითადად დამოკიდებულია წინადადებაში გამოყენების დროზე. ქართული კავშირებითი მწკრივებითა და თურმეობითით მდიდარი ჩვენი მშობლიური ენა მეტ შესაძლებლობას ფლობს გამოხატოს მოდალობა სრულყოფილად.

ყველა ზემოთდასახელებული სიძნელეების გათვალისწინება უწევს ინგლისური ენის სწავლებასა თუ შესწავლაში ჩართულ ადამიანებს. დასახული მიზნის მისაღწევად მოხდა შესაბამისი აქტივობების არჩევა, მათ შორის კი მთავარ ადგილს სავარჯიშოთა ტიპების მრავალფეროვნებას მივიჩნევთ, ეს სავარჯიშოები ეფუძნება ყველა იმ ცალკეულ სპეციფიკურ თვისებებს, რითაც ასე უხვია ჩვენი შესადარებელი ენები.

1. განსაზღვრეთ მოდალური ზმნის can (ასევე სხვა მოდალური ზმნები) მნიშვნელობა, გადათარგმნეთ წინადადებები ქართულად;
2. შეცვალეთ მოცემული წინადადებები (ამა თუ იმ მოდალური ზმნის) ინფინიტივიანი შესატყვისი ფორმით;
3. გადაიყვანეთ მოცემული წინადადებები ნამყო დროში, შეიტანეთ საჭირო ცვლილებები;

4. აზრის მიხედვით ჩასვით მოდალური ზმნა ზოგადი მნიშვნელობით, გამოიყენეთ მისი ექვივალენტები;
 5. გახსენით ფრჩხილები, გამოიყენეთ ინფინიტივანი შესატყვისი ფორმა, განავითარეთ სიტყვები შემოთავაზებული წინადადებებით;
 6. გამოხატეთ გაურკვევლობა ან შეუძლებლობა, აუცილებლობა თუ საჭიროება და ა.შ. მოცემული მოდალებით;
 7. გამოიყენეთ ზოგიერთი მოცემული მოდალური ზმნა ნამყო დროში, რომ გახადოთ შეკითხვები თავაზიანი;
 8. მოყვეთ ხუმრობები (jokes) შემდეგი მოდალური ზმნების გამოყენებით;
 9. უპასუხეთ მოცემულ შეკითხვებს (მოცემული მოდალური ზმნის გამოყენებით) მოცემული გამოთქმები დაგეხმარებათ პასუხში;
 10. გამოხატეთ გაღიზიანება მოდალური ზმნით ought;
 11. ჩასვით მოდალური ზმნები აზრის მიხედვით, გვიჩვენეთ განსხვავება მათ შორის;
 12. გადათარგმნეთ ქართულად;
 13. შეადგინეთ წინადადებები, რომ გამოვხატოთ მოვალეობა ან ძლიერი რჩევა, გამოიყენეთ მოცემული გამოთქმები;
 14. შეადგინეთ უარყოფითი წინადადებები მოდალური ზმნის must, რომ გამოვხატოთ აკრძალვა ან ძლიერი რჩევა;
 15. უპასუხეთ მოცემულ შეკითხვებს არსებული მაგალითის მიხედვით;
 16. შეადგინეთ 4 წინადადება იმის მიხედვით, რა უნდა გააკეთო იმისათვის რომ (keep up your health) და რა არ უნდა;
 17. გახსენით ფრჩხილები და გამოიყენეთ შესაბამისი მოდალის ინფინიტივის ფორმა;
 18. გადათარგმნეთ წინადადებები ინგლისურად;
 19. გადათარგმნეთ შემდეგი დიალოგი ისე რომ ყურადღება მიაქციოთ მოდალური ზმნის should და ought მნიშვნელობებს და ა.შ.;
- საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ მოდალური ზმნების გამოყენების მრავალფეროვნება, მათი გამოხატვის მრავალფეროვანი ფორმები ერთ-ერთი რთული ასპექტია თანამედროვე ინგლისური ენის გრამატიკის დისკურსის სფეროში.

ლიტერატურა:

1. ბაბუხაძე, მ., (2010): მოდალობის გამოხატვის გრამატიკული საშუალებები სხვადასხვა სისტემის ენებში, დისერტაცია, ქუთაისი, აწსუ
2. მეგრელიშვილი, მ. (2012): ინგლისური და ქართული ენების შეპირისპირებითი ლინგვისტიკა, ქუთაისი
3. ყიფიანი, ს., (2009): ეპისტემური მოდალობის ფუნქციურ-სემანტიკური ველი ინგლისურსა და ქართულში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი <http://old.press.tsu.ge/GEO/internet/disertaciebi/s.kipiani-disertacia.pdf>
4. ჭანტურია, ლ., (2002): „სახე“ და მოდალობა, საუნივერსიტეტო მიებანი, XII, თბილისი: ქართული ენა, 2002
5. Lyons, J., (1978): Semantics: 2, Cambridge university press
6. Rayevska, N., (1967): Modern English Grammar (Part I), Kiev State University Publishing House
7. Бархударов, Л. С., (1975): Язык и перевод, Москва: Международные отношения 1975.

8. Гак, В. Г., (1977): Сопоставительная лексикология: на материале французского и русского языков, Ленинград, Просвещение
9. Ярцева, В. И., (1976): Типология языков и проблема универсалии, Москва: *ВОПРОСЫ ЯЗЫКОЗНАНИЯ*. № 2. 6-7.
10. Корндорф, Г. Ф., (1958): Методика преподавания английского языка, Изд-во "Учпедгиз"
11. Чикобава, А. С., (1981): Сопоставительное изучение языков как метод исследования и как метод обучения, Москва: Рус. яз. в нац. школе, №6, 1957.

Nunu Charkviani, Sopio Kipiani

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

nunu.charkviani@atsu.edu.ge; sopio.kipiani@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2025.10.73>

Specific features of teaching grammatical modality in languages of different systems

Abstract

The article deals with the specific peculiarities of modals in two languages of different systems: English and Georgian. The number of verbs and the variety of their functions in both languages create many difficulties for English learners.

The multiplicity of ways in which modal verbs may be combined in actual usage permits many patterns to be built in present-day English. From a historical point of view, it is interesting to note that many of them are quite recent in development. Modality and tense are so intertwined that in English it is hardly possible for learners to combine them as a single variable. Some verbs function both as tense-auxiliaries and as modals. It is therefore of primary importance for researchers to study them in contrast with the modal verbs in other languages. We especially find it very confusing to see modals of synthetic language in analytical grammar frames.

Difficult kinds of exercises offered in the article are selected considering homonymy and synonymy in this part of English grammar. Observing the contrasting patterns and contrasting forms in this field is sure to lead English learners and students to a deeper understanding of modern English.

Key Words: modal verbs , English language, Georgian language